

თურქეთის საგარეო პოლიტიკა და გეოპოლიტიკური პრიორიტეტების ასპექტები 2010-2022 წწ.

გურამ მარხულია

ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
<https://orcid.org/0000-0001-8962-4597>
guram.markhulia@gmail.com



რეზიუმე

მსოფლიოში არსებული ყველა სახელმწიფო იყოფა სამ ტიპად: მსოფლიო დონის სახელმწიფოები, რეგიონალური სახელმწიფოები და სხვა სახელმწიფოები, რომელთა პოლიტიკაც ადგილობრივი მნიშვნელობისაა. თურქეთი თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკით გახდა რეგიონალური სახელმწიფო.

სსრკ-ს დაშლა ნიშნავდა ცნობილი „საბჭოთა საფრთხის“ თავიდან აცილებას. თურქეთს აღარ ჰქონდა საერთო საზღვარი თავის „საშიშ“ ჩრდილოელ მეზობელთან და მოსკოვის გავლენა მეზობელ თურქეთსა და ყოფილი სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებზე მკვეთრად დაეცა. ამან ანკარას საკმაოდ დიდი პერსპექტივები დაუსახა. კერძოდ, ინტერესები პოსტსაბჭოთა სივრცეში მჭიდრო კულტურული და რელიგიური კავშირების დამყარების თვალსაზრისით, ურთიერთობების დამყარება სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ახლად დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან. ანკარა სწრაფად ცდილობდა სარგებლობის მიღებას თურქულ რესპუბლიკებთან დიპლომატიური ურთიერთობებისა და მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას, რომლებიც ადრე სსრკ-ს შემადგენლობაში იყვნენ. თუმცა, ნათელი პერსპექტივები დაჩრდილა იმ ფაქტმა, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში თურქეთი გადიოდა საგარეო პოლიტიკის რთულ მომენტს.

ცივი ომის დასრულებასთან ერთად, თურქეთისათვის რეგიონული უსაფრთხოების პრობლემა არათუ შემცირდა, არამედ უფრო გამწვავდა და საგრძნობლად გაიზარდა. რეგიონული კონფლიქტები, არ ჩაცხრა პირიქით, ცხელი წერტილების კერები გაფართოვდა ახალი კონფლიქტების გამო (ომები სპარსეთის ყურეში, იუგოსლავია, მთიანი ყარაბაღი, ჩეჩნეთი). მზარდი რე-

გიონული დაძაბულობა აშკარა საფრთხეებს ქმნიდა ევროპისა და თურქეთისთვის. მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა იმ ფაქტმა, რომ ცივი ომისთვის დამახასიათებელი რეგიონალური ძალების ბალანსი გაქრა, ხოლო, ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები უკვე არსებობდნენ კოორდინატების სხვა სისტემაში, რომელთა მონახაზი ჯერ კიდევ არ იყო სრული, თურქეთისთვის ვითარება სეპარატისტული აქტივობის ზრდამ დაამძიმა.

ამრიგად, ბიპოლარული ეპოქის დასასრულმა არ მოიტანა სტაბილურობა და შექმნა მრავალი პრობლემა, როგორც ეკონომიკაში, ასევე, უსაფრთხოების სფეროში. სწორედ მსგავსმა საერთაშორისო მდგომარეობამ განაპირობა მისი ახალი გეოპოლიტიკური ამბიციები, სწორედ ამ საკითხების გაშუქების მცდელობაა წინამდებარე ნაშრომში

საკვანძო სიტყვები: ბიპოლარული სისტემა, „სამართლიანი წესრიგის“ კონცეფცია, ისლამური იდენტობის იდეა.

ციტირებისთვის: მარხულია გ., თურქეთის საგარეო პოლიტიკა და გეოპოლიტიკური პრიორიტეტების ასპექტები 2010-2022 წწ., ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №3, 2022 წ. გვ. 24-32.

TURKEY'S FOREIGN POLICY AND ASPECTS OF GEOPOLITICAL PRIORITIES

Guram Markhulia

Doctor of Historical Sciences,
Professor of Sukhumi State University
<https://orcid.org/0000-0001-8962-4597>
guram.markhulia@gmail.com

SUMMARY

All states in the world are divided into three types: world-class states, regional states, and other states whose

politics are of local importance. Turkey became a regional state with its independent policy.

The collapse of the USSR meant avoiding the well-known “Soviet threat”. Turkey no longer had a common border with its “dangerous” northern neighbor, and Moscow’s influence over neighboring Turkey and the countries of the former socialist orientation fell sharply. This gave Ankara quite a lot of prospects. In particular, interests in the post-Soviet space in terms of establishing close

cultural and religious ties, establishing relations with the newly independent republics of the South Caucasus and Central Asia. Ankara quickly sought to take advantage of the establishment of diplomatic relations and close cooperation with the Turkic republics that were formerly part of the USSR. However, the bright prospects were overshadowed by the fact that in the early 1990s, Turkey was going through a difficult moment in foreign policy.

With the end of the Cold War, the regional security problem for Turkey did not decrease, but became more acute and significantly increased. Regional conflicts did not subside, on the contrary

Hot spots have expanded due to new conflicts (wars in the Persian Gulf, Yugoslavia, Nagorno-Karabakh, Chechnya). Growing regional tensions posed clear threats to Europe and Turkey. The situation was made even worse by

the fact that the balance of regional powers characteristic of the Cold War had disappeared, and the countries of the Middle East, the Balkans and Central Asia already existed in a different system of coordinates, the outline of which was not yet complete, the situation for Turkey was aggravated by the increase in separatist activity.

Thus, the end of the bipolar era did not bring stability and created many problems, both in the economy and in the field of security. It is the current international situation that led to his new geopolitical ambitions, and this paper attempts to cover these issues.

Key words: bipolar system, concept of “just order”, idea of Islamic identity.

For citation: Markhulia G., Turkish Foreign Policy and Aspects of Geopolitical Priorities 2010-2022, Journal “Business and Legislation”, No. 3, 2022. p. 24-32.



ძირითადი ტექსტი

თურქეთის საგარეო პოლიტიკა, ბიპოლარული სისტემის დაშლის შემდეგ, პირველ ათწლეულში მეტწილად უცვლელი და ურყევი დარჩა, მისი ქემალისტური პრინციპებით, ხოლო შემდგომში ვესტერნიზაციის, ევროკავშირთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე ორიენტირებული პოლიტიკით წარიმართა. თუმცა, პოსტბიპოლარულმა პერიოდმა აჩვენა მნიშვნელოვანი ცვლილებები თურქეთის საგარეო პოლიტიკაში. ამ ფენომენის ახსნას ხშირად ცდილობენ იმით, რომ თურქეთმა სცადა სამართლიანობის პრინციპების ისლამურ იდენტობაზე მორგება და განვითარება, ხოლო მომხდარი ცვლილებების ან მიდგომების ძირითადი მიზეზი კი იყო თურქეთის ეკონომიკური ინტერესები, გაეძლიერებინა ეკონომიკური კავშირები მეზობელ სახელმწიფოებთან.

თურქეთის პოსტბიპოლარული საგარეო პოლიტიკის ანალიზი მოითხოვს ქვეყნის შიდა და გარე ურთიერთობების კომპლექსური ბუნების გათვალისწინებას, ზოგადი პოლიტიკისა და საერთაშორისო გარემოს მახასიათებლების მხედველობაში მიღებას და კონცეპტუალურ, მეთოდოლოგიურ მიდგომას, რაც შესაძლებელს გახდის ცვლილებების განხილვას.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის ხაზი, ერთდროულად სამი მიმართულებით შეგვიძლია განვიხილოთ. იგი მოიცავს შიდა პოლიტიკის შესწავლას, საერთაშორისო კონტექსტისა და იდეოლოგიური და ინსტიტუციური მხარდაჭერის ცვლილებებსა და საგარეო პოლიტიკას. ამ მიდგომით შესაძლებელი ხდება თურქეთის ევროკავშირთან და დასავლეთის ქვეყნებთან „მოულოდნელი“ დაახლოებისა და თანამშრომლობის ახსნა. ასევე, ზოგადად ახლო აღმოსავლეთში წამყვანი როლის მოპოვებისა და თავის დამკვიდრების მცდელობების ახსნა.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში თურქეთის საგარეო პოლიტიკაში მომხდარი უცნაური გადახვევები ინტენსიური ყურადღების ქვეშ მოექცა. არა

მხოლოდ სპეციალისტები და მსოფლიო მედია, არამედ ფართო აუდიტორიაც განიხილავს ამ პროცესებს. მზარდმა ინტერესმა, ერთი მხრივ, წარმოშვა მრავალი ვერსია, რომლებიც ხსნიდნენ ანკარას საგარეო პოლიტიკის რთულ ტრაექტორიებს. ამ ყველაფერმა, მეორე მხრივ, სერიოზულად დაამახინჯა საგარეო პოლიტიკის უწყვეტობისა და ტრანსფორმაციის გაგება თურქულ კონტექსტში.

ცივი ომის დასრულებას არ გამოუწვევია რევოლუციური ცვლილებები ანკარის საგარეო პოლიტიკაში, 1990-იანი წლების განმავლობაში. იგი დარჩა ქემალისტური პრინციპების ერთგული, რამაც განაპირობა ზოგადად თურქეთის პროდასავლური ორიენტაცია. ცივი ომის დასრულებამ ხელი შეუწყო ფუნდამენტური ცვლილებების პროვოცირებას და ძალათა გადანაწილებას გლობალურ და რეგიონალურ ბალანსში. თურქეთის, რომელიც „ფლანგი ქვეყნის“ სტატუსს ატარებდა, წინაშე წარმოიშვა შემდგომი საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის დაგეგმვისა და განხორციელების ახალი ამოცანები.

სსრკ-ს დაშლა ნიშნავდა ცნობილი „საბჭოთა საფრთხე“-ის თავიდან აცილებას. თურქეთს აღარ ჰქონდა საერთო საზღვარი თავის „საშიშ“ ჩრდილოელ მეზობელთან და მოსკოვის გავლენა მეზობელ თურქეთსა და ყოფილი სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებზე მკვეთრად დაეცა. ამან ანკარას საკმაოდ დიდი პერსპექტივები გაუხსნა. კერძოდ, ინტერესები პოსტსაბჭოთა სივრცეში მჭიდრო კულტურული და რელიგიური კავშირების დამყარების თვალსაზრისით, ურთიერთობების დამყარება სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ახლად დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან. ანკარა სწრაფად ცდილობდა სარგებლობის მიღებას თურქულ რესპუბლიკებთან დიპლომატიური ურთიერთობებისა და მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას, რომლებიც ადრე სსრკ-ს შემადგენლობაში იყვნენ. თუმცა, ნათელი პერსპექტივები დაჩრდილა იმ ფაქტმა, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში თურქეთი გადიოდა

საგარეო პოლიტიკის რთულ მომენტს.

სსრკ-ს გაუჩინარებამ, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილი სპეციალისტი, მ. მუფთაულერ-ბახი აღნიშნავს, ბევრი დასავლელი ლიდერი დააფიქსა თურქეთთან ურთიერთობების მომავალზე. ცხადია, ასეთი შეხედულება თურქეთი, როგორც დაკარგული რგოლი საერთაშორისო უსაფრთხოების დასავლურ სისტემაში ნიშნავდა ანკარას გეოპოლიტიკური ღირებულების გარდაუვალ დეგრადაციას მისი დასავლელი მოკავშირეებისთვის, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით არ იყო კარგი. ჯერ ერთი, ეს გულისხმობდა სამხედრო და ეკონომიკური მხარდაჭერის შემცირებას და მეორეც, მან ანკარის პოზიცია უფრო შეასუსტა ისეთ მტკიცებულ საკითხებზე, როგორიცაა კვიპროსის საკითხის დარეგულირება ან ადამიანის უფლებების დარღვევა.

ცივი ომის დასრულებასთან ერთად, თურქეთისათვის რეგიონული უსაფრთხოების პრობლემა არათუ შემცირდა, არამედ უფრო გამწვავდა და საგრძნობლად გაიზარდა. რეგიონული კონფლიქტები, რომლებმაც ადრე იფეთქა, არ ჩაცხრა და ცხელი წერტილების კერები გაფართოვდა ახალი კონფლიქტების გამო (ომები სპარსეთის ყურეში, იუგოსლავია, მთიანი ყარაბაღი, ჩეჩნეთი). მზარდი რეგიონული დაძაბულობა აშკარა საფრთხეებს ქმნიდა ევროპისა და თურქეთისთვის. მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა იმ ფაქტმა, რომ ცივი ომისთვის დამახასიათებელი რეგიონალური ძალების ბალანსი გაქრა, ხოლო, ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები უკვე არსებობდნენ კოორდინატების სხვა სისტემაში, რომელთა მონახაზი ჯერ კიდევ არ იყო სრული, თურქეთისთვის ვითარება სეპარატისტული აქტივობის ზრდამ დაამძიმა.

ამრიგად, ბიპოლარული ეპოქის დასასრულმა არ მოიტანა სტაბილურობა და შექმნა მრავალი პრობლემა, როგორც ეკონომიკაში, ასევე, უსაფრთხოების სფეროში. 1900-იან წლებში თურქეთმა საკმაოდ სუსტი პერიოდი გაიარა, კოალიციური მთავრობებით. კოალიციური მთავრობები და მინისტრთა კაბინეტის მთლიანი შემადგენლობა შეიცვალა 9-ჯერ, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა კი 13-ჯერ. ამ პირობებში, არც მთავრობის ცალკეულ მეთაურს და არც საგარეო საქმეთა მინისტრს არ ჰქონდათ შესაძლებლობა განეხორციელებინათ თავიანთი იდეები და, შესაბამისად, ვერ ახდენდნენ გავლენას საგარეო პოლიტიკური პროცესის მიმდინარეობაზე. ქვეყნის ისტორიაში პირველ ისლამისტ პრემიერ-მინისტრსაც კი, რომელმაც წამოაყენა „სამართლიანი წესრიგის“ კონცეფცია არ ჰქონდა დრო მისი პრაქტიკაში განსახორციელებლად.

თურქეთი ზოგადად მოძრაობდა ტრადიციული ქემალისტური საგარეო პოლიტიკის შესაბამისად, მხარს უჭერდა არსებულ ალიანსებს და თურქეთის, როგორც რეგიონული უსაფრთხოების გარანტიის მნიშვნელობის პოპულარიზაციას.

1990-იანი წლებიდან იწყება მეტწილად პროდასავლური საგარეო პოლიტიკა და მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება ისრაელთან, რომელიც ანკარას სტრატეგიული პარტნიორი გახდა ახლო აღმოსავლეთში. ცივი ომის დასრულების შემდეგ დასავლეთისთვის ყოფილი სტრატეგიული მნიშვნელობის დაკარგვის უარყოფითი შედეგების შიშმა თურქეთს უზიძგა ევროპასთან ურთიერთობების აქტიური განვითარებისკენ. ამას ლოგიკურად მოჰყვა ევროპულ საერთაშორისო სტრუქტურებში სრული წევრობის სურვილი და მზადყოფნა გაეფართოვებინა თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში. ევროკავშირს, თავის მხრივ, საკმაოდ პოზიტიური დამოკიდებულება ჰქონდა ურთიერთქმედების იდეის მიმართ. 1995 წელს თურქეთი შევიდა საბაჟო კავშირში ევროკავშირთან. ხოლო 1999 წელს მიიღო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, რისთვისაც ანკარა დათანხმდა საბერძნეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას „კვიპროსის საკითხზე“, რომელიც თურქეთში ადამიანის უფლებების ფართომასშტაბიანი დარღვევის ბრალდებებთან ერთად იყო მთავარი დაბრკოლება ბრიუსელთან მოლაპარაკებებში. ფაქტობრივად, 1990-იან წლებში ევროინტეგრაცია იყო თურქეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ევროკავშირში გაწევრიანება, როგორც საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი, ერთი მხრივ შეესაბამებოდა პროფესიონალის პროდასავლური ღირებულებითი მატრიცას, ამასთან, საგარეო პოლიტიკური გარემოს ცვლილებებით თურქეთმა გააძლიერა ურთიერთობა დასავლელ მოკავშირეებთან და დაარწმუნა ისინი თურქეთის სტრატეგიულ მნიშვნელობაში ევროპის უსაფრთხოებისთვის კრიტიკულ რეგიონებში: ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში.

2002 წელს თურქეთის სათავეში სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მოსვლის შემდეგ ქვეყანაში დაიწყო ახალი პოლიტიკური ხანა, რომლის პერიოდშიც ეტაპობრივად შეიცვალა ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მთავარი მიმართულებები.

პარტიის იდეოლოგიის მთავარ თეორიულ ბაზისად ხშირად მიიჩნევენ სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის და ერდოღანის თანამებრძოლის, საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორის აჰმედ დავითოღლუს ფუნდამენტურ ნაშრომს-- „სტრატეგიის სიღმეს“, რომელშიც გადმოცემულია მისი შეხედულებები საერთაშორისო სისტემაში თურქეთის ადგილისა და როლის და მისი ძირითადი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ.

XXI-ე საუკუნის პირველი ათწლეული თურქეთისთვის გამოირჩეოდა აშშ-ს ექსპონენტურად მზარდი აქტივობით ახლო აღმოსავლეთში. თავდასხმები 2001 წლის 11 სექტემბერს და ავღანეთში საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის შემდგომი ომი, შემდეგ კი აშშ-ს შეჭრა ერაყში 2003 წელს - ამ ყველაფერმა გაანადგურა 1990-იან წლებში მიღწეული განვითარება. გამოჩნდა ძალათა ახალი ბალანსი რეგიონში. თურქეთისათვის ამერიკის ასეთი გაძლიერება

რეგიონში ნიშნავდა ახალი გამოწვევის გაჩენას, რაც საგრძნობლად ართულებდა საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებს. 2002 წლის ბოლომდე, სანამ ერდოლანის პარტიამ გაიმარჯვა არჩევნებში, 90 იანი წლები ხასიათდება როგორც სუსტი კოალიციური მთავრობების ეპოქა. ბ. ეჯევიტის კაბინეტი, რომელმაც 1999 წელს დაიკავა პრემიერ მინისტრის პოსტი, იცავდა პროდასავლურ კურსს, რაც გულისხმობდა არა მხოლოდ საერთაშორისო ქმედებების მხარდაჭერას, არამედ პოპულარიზაციის ნახალისებას. სწორედ ბ. ეჯევიტის მთავრობამ დაიწყო ადმინისტრაციული და პოლიტიკური რეფორმების კომპლექსი, ე.წ. „პაკეტური რეფორმები“, თურქეთის კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესასრულებლად ჰელსინკიში კანდიდატი ქვეყნის ოფიციალური სტატუსის მიღების შემდეგ. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრებიდან, ერდოლანის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამოჩენილი პოლიტიკური ფიგურები იყვნენ ჯერ ა. გიული (2003–2007 წწ.), შემდეგ ა. ბაბაჯანი (2007–2009 წწ.) და ბოლოს, ა. დავუთოლლუ (2009–2014 წწ.). არც ა. გიული და არც ა. ბაბაჯანი პროფესიონალურად არ იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში.

ერაყში აშშ-ის სამხედრო მოქმედებების შედეგად, თურქულ-ამერიკული ურთიერთობა განყდა. წარმოშობილი პრობლემების მოგვარების ორმხრივი სურვილის მიუხედავად, სამართლიანობისა და განვითარების პარტიას უსაფრთხოების სფეროში შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობა რთულად განსახორციელებელი ჩანდა პრინციპული განსხვავების გამო. თუ შეერთებული შტატებისთვის ერაყელი ქურთები იყვნენ მთავარი მოკავშირეები, ანკარა შემფოთებით უყურებდა ქურთების სეპარატიზმის აღზევებას ჩრდილოეთ ერაყში, სადაც ქურთისტანის მუსათა პარტიას თავისი სამხედრო ბაზები ჰქონდა. 1997 წელს ვაშინგტონში საკმარისი მხარდაჭერის ვერ მოპოვების გამო, ანკარამ ალტერნატიული გზა აირჩია - დაიწყო უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება. ევროკავშირთან ევროპის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში, რომლის უმეტესი დეკლარაციას თურქეთმა ხელი მოაწერა 2007 წელს. ფაქტობრივად, ეს ნაბიჯი იყო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ტრანსფორმაციისა და მისი უზრუნველყოფის ოპტიმალური მექანიზმების ახალი ხედვის ასახვა. ევროკავშირთან დაახლოება, აშკარად გამოიხატა რ. ერდოლანის პოლიტიკური რეალიზმი, რომელმაც ამ ნაბიჯით ერთდროულად რამდენიმე პრობლემა გადაჭრა. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ხელისუფლებაში მოსვლისას ევროკავშირთან თანამშრომლობის მთელი ინფრასტრუქტურა უკვე ჩამოყალიბებული იყო.

2000-იან წლებში ერდოლანისა და მისი: „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის ხელისუფლებაში მოსვლით, ქვეყანაში შეჩერდა ქემალისტური საგარეო პოლიტიკის ტრადიცია და მისი „დაჩქარებული პროცესი“. ლიბერალიზაცია“, რომლის მთავარი მამოძრა-

ვებელი იყო ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მოპოვების სურვილი. ანკარის საგარეო პოლიტიკაში გამოიკვეთა ახალი აქცენტები, წინა პლანზე წამოვიდა თურქეთის ისლამური იდენტობის იდეა, რაც აისახა ქვეყნის თვითპოზიციონირებაზე და მის საერთაშორისო დღის წესრიგზე.

2000-იანი წლებიდან თურქეთის საგარეო პოლიტიკაში აშკარა ცვლილებები დაიწყო. რ. ერდოლანის ხელისუფლების ხაზგასმით რევოლუციურმა მოწოდებებმა, მის მიერ განხორციელებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა რეფორმებმა, ათათურქის „ახალი თურქეთის“ ანალოგიით, გამოიწვია კამათის ტალღა, ორიენტაციის შეცვლასთან დაკავშირებით. მედიასა და აკადემიურ გამოცემებში 2000-იანი წლების ბოლოდან სულ უფრო და უფრო ხშირად ისმოდა ბრალდებები „თურქეთის აღმოსავლეთისკენ გადამისამართების“ ან როგორც ა.კოენმა პოეტურად ჩამოაყალიბა თავის სტატიაში „დაშორება დასავლეთთან“- თურქეთის „ნეო-ოსმალეთის“ პოლიტიკის შესახებ. საგარეო კურსის ცვლილებები უმეტესწილად მოიაზრებოდა საკუთარი საზღვრების პერიმეტრის გასწვრივ აქტივობის გაზრდას, რაც, როგორც ზოგიერთმა მკვლევარმა სწორად აღნიშნა, „ენინააღმდეგება ცვლილების შესახებ თეზისის არსს“. არსებული სამეცნიერო ლიტერატურა თურქეთის მერყე და ხშირად ძნელად პროგნოზირებად საგარეო პოლიტიკის ბუნებას სხვადასხვაგვარად განმარტავს და მის განმსაზღვრელად ზოგჯერ ფაქტორებს ურთიერთსაინააღმდეგო ფაქტორებს ასახელებს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინტერპრეტაციები ფოკუსირებულია ისლამზე. როდესაც სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ- გაიმარჯვა 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მან მოიპოვა შესაძლებლობა შეექმნა ერთპარტიული მთავრობა.

მას შემდეგ, რ. ერდოლანის პარტია იკავებდა ხელისუფლებას ქვეყანაში, რომელმაც მოიგო ყველა მომდევნო არჩევნები. გამოიკვეთა რ. ერდოლანის მართველობის „ისლამური“ ხასიათი. მზარდი ისლამური იდენტობის დომინირება აიხსნება, თუმცა, სამართლიანობისა და განვითარების პარტია, ისლამურმა იდენტობამ და „ახალი თურქეთის“ ლიდერების „ისლამურმა წარმომავლობამ“ ხელი არ შეუშალა 2000-იან წლებში ხელისუფლებაში მოსულიყო და ელიარებიანათ როგორც „ერთ-ერთი ყველაზე პროდასავლური პარტია ქვეყნის ისტორიაში“. ისლამურ იდენტობას ხელი არ შეუშლია პროდასავლური კურსის გატარებაში. მაშინ ისმის კითხვა, რამ გამოიწვია 2010 წლიდან საგარეო პოლიტიკის რადიკალური გადახედვა? და სწორია თუ არა, რომ კურსის შეცვლას მხოლოდ ერდოლანის და მის პარტიას ხელისუფლებაში მოსვლას უკავშირებენ.

ბოლო დრომდე მკვლევართა უმეტესობა თურქეთის საგარეო პოლიტიკას ახასიათებდა როგორც, „დავებსა და სტრატეგიული ალიანსებზე“ ორიენტირებულ მიდგომას. ამავე დროს, საგარეო პოლიტიკის ანალიზის ძირითადად მიმდინარეობდა შიდაპოლიტიკური ფაქტორების, როგორც გარეგანის მთავარი განმსაზღვრე-

ლის, გათვალისწინებით. ამ ლოგიკის მიხედვით, ზოგიერთმა მკვლევარმა (მაგალითად, მ. კარა და ა. სოზენი) აღნიშნა ფუნდამენტური განსხვავებები თურქეთის საგარეო პოლიტიკას შორის სამართლიანობისა და განვითარების პარტიამდე“ და მას შემდეგ, რაც ის ხელისუფლებაში მოვიდა. საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებების ხელისუფლების ცვლილებასთან დაკავშირების სურვილი აშკარა წინააღმდეგობაში მოდის ქემალისტური იდეოლოგიის განმსაზღვრელი როლის შესახებ გავრცელებულ თეზისთან, რომელიც მუდმივია საგარეო პოლიტიკისთვის, მთავრობის შემადგენლობის მიუხედავად.

ერთი მხრივ, ითვლებოდა, რომ ეროვნული ინტერესების ასეთი პასუხისმგებელი სფერო არ შეიძლებოდა იყოს შიდაპარტიული წინააღმდეგობებისა და ღირებულებით-იდეოლოგიური განსხვავებების მძევალი. თავის მხრივ, საგარეო პოლიტიკაში ცვლილებების ახსნის მცდელობები რა თქმა უნდა, მხოლოდ ხელისუფლების ცვლილებით და ახალი პარტიის ხელისუფლებაში მოსვლით, არსებითად გულისხმობს თურქეთის იზოლაციის ცვლილებების გავლენისგან.

ამ პერიოდის დასახასიათებლად მნიშვნელოვანია გამოყენოს ოთხი ფაქტორი: გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგები, არაბული გაზაფხული, 2013 წლის ზაფხულში საპროტესტო აქციები და 2016 წელს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა შეარყია აშშ-ს დომინირება, ზოგადად გლობალური პოლიტიკა და განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთი. ბ. ობამამ, რომელიც 2009 წ. გახდა პრეზიდენტი, დააჩქარა ერაყში ძვირადღირებული ომის დასრულება (აშშ-ს ძალები ოფიციალურად გამოვიდნენ 2011 წელს) და განათავსეს ახალი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ამერიკული „Turn to აზია“. თურქეთისთვის ახლო აღმოსავლეთის მიმართ აშშ-ს ინტერესის შემცირება ნიშნავდა იმას, რომ ამიერიდან შეერთებულმა შტატები ნაკლებად ჩაეროდა ახლო საზღვარგარეთის საქმეებში. თავის მხრივ, სუვერენული ვალის კრიზისმა, რომელმაც მოიცვა ევროპა, ჯერ შეეხო ევროკავშირის პერიფერიულ ქვეყნებს (საბერძნეთი) შემდეგ კი გავრცელდა თითქმის მთელ ევროზონაში, აიძულა ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები ყურადღება მიექციათ შიდა პრობლემების გადაჭრაზე, რამაც გამოიწვია ევროს სკეპტიციზმის ზრდა და პოპულისტური პარტიების გააქტიურება. დიდმა ბრიტანეთმა და გერმანიამ, რომლებიც მხარს უჭერდნენ თავიანთი ქვეყნების ევროკავშირიდან გასვლას, აჩვენეს ევროკავშირის გაფართოების სტრატეგიის ამონურვა. ერთის მხრივ, ევროკავშირი, როგორც სტაბილურობისა და კეთილდღეობის ოაზისი გაქრა, მეორე მხრივ, ბრიუსელი ნაკლებად დაინტერესდა გლობალური პოლიტიკით, ახლო აღმოსავლეთი გადავიდა თავისი ინტერესების პერიფერიაზე და მთავარი თავის ტკივილი იყო არალეგალური მიგრანტების საკითხი, რომელთა ზენოლა ევროკავშირის ქვეყნებზე ექსპონენტურად გაიზარდა. შესაბამისად, თურქეთს

აღარ შეეძლო ევროკავშირთან თანამშრომლობა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებში. ამავდროულად, 2010-იან წლებში თურქეთის საზღვრების პერიმეტრზე დაძაბულობა გაიზარდა. სწრაფად გაიზარდა მასობრივი საპროტესტო აქციები, რომელმაც თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა 2011 წელს ახლო აღმოსავლეთიც, რამაც გამოიწვია ერთი შეხედვით ურყევი რეჟიმების შეცვლა და სამოქალაქო ომები, პირდაპირ შეეხო თურქეთს. „არაბულმა გაზაფხულმა“ მოითხოვა ნაჩქარევი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიისა და საგარეო პოლიტიკის გადახედვა. სამოქალაქო ომმა, რომელმაც მეზობელი სირია მოიცვა, ლტოლვილების უპრეცედენტო რაოდენობა გამოიწვია, რომელთა რაოდენობამ 2014 წლისთვის 1,5 მილიონს გადააჭარბა და 2020 წელს მიაღწია 4 მილიონზე მეტს. ძალაუფლების ვაკუუმმა, რომელიც წარმოიშვა სირიაში, ხელი შეუწყო ქურთების ავტონომიის გაჩენას ქვეყნის ჩრდილოეთში.

ისრაელთან ურთიერთობა გაფუჭდა, სერიოზული შიშები გამოიწვია ირანის გაზრდილმა აქტიურობამ და რუსეთის სამხედრო ოპერაციამ სირიაში, რომელიც 2015 წელს დაიწყო ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის დასახმარებლად. შიდა პოლიტიკურმა მოვლენებმა სერიოზულად შეცვალა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკური კურსის შინაარსი, არამედ მისი ინსტიტუციური განხორციელების მექანიზმები, რის შედეგადაც საგარეო პოლიტიკის მართვის ყველა ძაფი, პროცესი ერთი ადამიანის - პრეზიდენტის რ. ერდოღანის ხელში იყო კონცენტრირებული. 2000-იანი წლების ბოლოდან რ. ერდოღანი ხისტი ვერტიკალის აგებას შეუდგა. ამ პროცესის ამოსავალ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს არჩევნები და 2007 წელს ა. გულის პრეზიდენტის პოსტზე დანშვნა, რომელიც იყო სამართლიანობისა და განვითარების პარტიის თანადამფუძნებელი და ერდოღანის ერთ-ერთი უახლოესი თანამოაზრე. ამ ყველაფერს კი მოჰყვა ისლამისტური ფართომასშტაბიანი გამოსვლები „ქემალისტური ელიტის“ წინააღმდეგ.

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2010 წლის საკონსტიტუციო რეფერენდუმი. მისი ჩატარების დღეც კი სიმბოლურად 12 სექტემბერს, 30 წლისთავზე დაინიშნა. ეს იყო თურქეთში ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი სამხედრო გადატრიალების წლისთავი. შევიდა შესწორებები ძირითად კანონში, კერძოდ, არმიას ჩამოერთვა იურიდიული ავტონომია და შეზღუდეს სამხედრო ელიტის ინსტიტუციური შესაძლებლობები პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენის გზით.

ბიუროკრატიული ნომენკლატურის განახლება, რომელიც პოპულისტურად განხორციელდა იარლიყებითა და ხალხისგან განცალკევების ბრალდებით, სრულად შეეხო საგარეო საქმეთა სამინისტროსაც, რომელსაც 2009 წელს ა.დავითოღლუ ხელმძღვანელობდა. 2014 წლის ზაფხულში ა. დავითოღლუმ შეწყვიტა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა და პრემიერ მინისტრის თანამდებობა დაიკავა, ხოლო 2016 წელს გადადგა და მალევე დატოვა პარტიის რიგები. მისი იდეები რეალურად დარჩა თურქეთის საგარეო

პოლიტიკის საფუძვლად, რომელიც 2020-იანი წლების დასაწყისში ხასიათდებოდა, ერთის მხრივ, მემარჯვენე პოპულისტური და ისლამისტური რიტორიკის კომბინაციით და, მეორე მხრივ, რეგიონზე ფოკუსირებით.

არც ერთი, არც პოპულიზმი და არც ისლამიზმი არ ქმნიდნენ მყარ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ საფუძველს, ამიტომ, საგარეო პოლიტიკური კურსის რყევების ამპლიტუდა შეიძლება იყოს საკმაოდ დიდი, რაც კარგად ჩანს ანკარის პოლიტიკის რყევები სირიის მიმართულებით. 2014 წელს თურქეთის პრეზიდენტად რ. ერდოღანის არჩევით, მნიშვნელოვანი გახდა გადანაცვლებების შემუშავება და სწორი ფორმულირება. პრეზიდენტის მიერ საგარეო პოლიტიკის მონოპოლიზაციამ განაპირობა ის, რომ დიპლომატიურ დონეზე კონსენსუსის ძიებისა და კომპრომისების მოპოვების სტრატეგია შეიცვალა განსხვავებული მიდგომით.

თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ კოორდინირებული ადრე დადგენილი პროცედურის გვერდის ავლით, რ. ერდოღანმა ამჯობინა პირადად ენარმოებინა დიალოგი სხვა სახელმწიფოების მეთაურებთან თითქმის ყველა საკითხზე. ამ ფონზე საგარეო საქმეთა სამინისტროს საკადრო პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. საკვანძო პოზიციები დეპარტამენტში და ხელმძღვანელ პოზიციები დიპლომატიურ მისიებში ხშირად დაკავებული არიან ადამიანებით, რომლებსაც არ აქვთ გამოცდილება დიპლომატიურ საქმიანობაში. უფრო მეტიც, შემცირდა თავად სამინისტროს ოპერატიული შესაძლებლობებიც. 2010-იან წლებში რ. ერდოღანმა ერთდროულად რამდენიმე დეპარტამენტის შექმნა, რომლებიც დღემდე ფუნქციონირებს, ესენია: სახალხო დიპლომატიის კოორდინაციის საბჭო, თანამემამულეების ანუ დიასპორის კომიტეტი, ცალკე თურქები საზღვარგარეთ (Yurtdışı Türkler ve Akraba Topluluklar Başkanlığı), ფონდი-ვაქფი "Pro Enlightenment" (Maarif Vakfi). ყველა ახალი სტრუქტურა პრეზიდენტის პირდაპირ დაქვემდებარებაში შევიდა. ქვეყნის საბოლოო საგარეო პოლიტიკური კურსი ჩამოაყალიბა პრეზიდენტ ერდოღანის მრჩეველთა ვიწრო წრემ, რომელიც შერჩეულია არა პროფესიული კრიტერიუმებით, არამედ სახელმწიფოს მეთაურის მიმართ პირადი ლოიალობის საფუძველზე. ამავდროულად, გაფართოვდა საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართული ადრე შექმნილი სტრუქტურების უფლებამოსილებები, როგორცაა თურქული თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო (Başkanlığı - TİKA) და რელიგიურ საქმეთა დეპარტამენტი (Diyanet İşleri Başkanlığı - Diyanet). შედეგად, რ. ერდოღანმა მიიღო პირდაპირი კონტროლის შესაძლებლობა და ნებისმიერი საგარეო პოლიტიკური აქტივობის დეტალური კონტროლის მექანიზმები. რ. ერდოღანი გარკვეული საგარეო პოლიტიკური პროცესების ხასიათის განსაზღვრის მთავარ ცენტრად იქცა. 2013 წლის ზაფხულში ფართომასშტაბიანი მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო, რომელიც დაიწყო „გეზის პარკის დამცველების“ აქციების სახით სტამბოლის ცენტრში

და შემდეგ მოიცვა თითქმის მთელი ქვეყანა, შესაძლებელი გახდა მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წარმოჩენა. ეს იყო ლეგიტიმურად არჩეული ხელისუფლების დამხობის მცდელობა.

2010 იანი წლების შუაში „მტრული სუპერდაზვერვის“ კონცეფცია (üst akıl), ფეთქულა გიულენის ტერორისტულ ორგანიზაციასთან (Fetullahçı Terör Örgütü - FETÖ) ერთად იქცა შეთქმულების თეორიების საფუძველი ქვეყანაში. ერთის მხრივ, ძველი ბიუროკრატიის გადაადგილებამ და საგარეო პოლიტიკურ კურსზე გავლენის მოხდენის უნარის ჩამორთმევამ, მეორე მხრივ, ახლო აღმოსავლეთში ევროკავშირისა და აშშ-ს აქტივობის შესამჩნევმა შემცირებამ გამოიწვია ევროკავშირის გაფართოება. სრული წევრობის მიღწევის უშუალო მცდელობებმა და ბრიუსელთან ურთიერთობაში წარმოშობილმა კრიზისმა გამოიწვია მოლარაპარაკების გაყინვა. ევროკავშირის რიგი ქვეყნების ფინანსურმა პრობლემებმა და ევროპის სავალსე კრიზისმა ობიექტურად შეამცირა ევროკავშირის მიმზიდველობა. ანკარა სულ უფრო ნაკლები ენთუზიაზმითა და მზადყოფნით განაგრძობდა კოპენჰაგენის კრიტერიუმების განხორციელებას. უფრო მეტიც, მთავარი დაბრკოლება ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე იყო „კვიპროსის პრობლემა“, რაც სათავეს იღებს 2000-იანი წლების ბოლოდან. თურქეთის ხელისუფლება არ მალავდა იმედგაცრუებას წარუმატებლობის გამო. გაღიზიანება გამოიწვია იმანაც, რომ კვიპროსი მიიღეს ევროკავშირში 2004 1 მაისს, თურქეთი კი კანდიდატის სტატუსში დარჩა. თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკადის გათვალისწინებით, თურქეთს სულ უფრო ნაკლები სტიმული ჰქონდა კომპრომისების მოსაძებნად ბრიუსელთან მოლაპარაკების პროცესის წინსვლისთვის. ამ თვალსაზრისით თურქეთის საგარეო პოლიტიკა 2010 წ მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა 2000-იანი წლების პერიოდს, როდესაც პრიორიტეტად მიიჩნეოდა ანკარასა და ბრიუსელის ინტერესთა გაერთიანება რეგიონულ დონეზე.

თურქეთი არ ეძებდა ევროკავშირთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს არაბული გაზაფხულის შემდეგ, მხოლოდ საჯაროდ ადანაშაულებდა ბრიუსელს უმოქმედობაში და სამოქალაქო ომის გაჩაღებაში. ევროკავშირის კრიტიკა და ანტიდასავლური რიტორიკა 2010-იან წლებში დამახასიათებელი გახდა ოპოზიციური პარტიებისთვის, რომლებიც, ერდოღანის პარტიის მსგავსად, გამოხატენ ევროპელი ლიდერების ორმაგ სტანდარტებს თურქეთის მიმართ. სირიელი ლტოლვილების საკითხში და მიგრაციული კრიზისის მოგვარების საკითხშიც კი თურქეთის მთავრობა ვერ ხედავდა ევროკავშირთან სრული თანამშრომლობის შესაძლებლობას და უმეტესწილად იარაღად იყენებდა ლტოლვილთა ფაქტორს.

2010-იანი წლები თურქეთი არ ცდილობდა ევროკავშირთან ინტერესთა დაახლოების ნერტილების მოძიებას, მას ერთგვარი შუამავლის როლის შესრულება უნდოდა „არაბული გაზაფხულის“ საწყის ეტაპზე დან-

გრეულ რეჟიმებსა და ოპოზიციას შორის. ანკარამ ამ სფეროში წარმატებას ვერ მიაღწია შეზღუდული შესაძლებლობებისა და თურქეთის აქტივობაზე უარყოფითი რეაქციების გამო. „თურქული მოდელის“ ხიბლი და „რბილი ძალის“ იარაღები ახალ პირობებში აღარ მუშაობდნენ, ამიტომ, თურქეთმა დაიწყო ახალი მოკავშირეების ძებნა რეგიონში, ეს იყო ყატარი, ეგვიპტის მუსლიმთა საძმო და სირიის ოპოზიცია. რ. ერდოღანმა თავის ამერიკელ და ევროპელ კრიტიკოსებს ანტი-დასავლური რიტორიკის გაძლიერებით და რუსეთთან ეკონომიკური, შემდეგ კი სამხედრო-პოლიტიკური პარტნიორობის დამყარებით უპასუხა. რუსეთთან ურთიერთობის გაძლიერებით, ისეთ სფეროებში, როგორცაა თავდაცვა და S-400 სისტემების მიწოდებაზე შეთანხმებების გაფორმებით, თურქეთმა დასავლეთს აჩვენა თავისი ძალთა ალტერნატიული ბალანსის დამყარების შესაძლებლობები იმ სიტუაციაში, როდესაც არც ვაშინგტონი და არც ბრიუსელი არ იყვნენ მზად სათანადოდ ეპასუხათ მისი ინტერესებისთვის. ამავე დროს, ანტიდასავლურმა რიტორიკამ, რომელიც 2010 წ. გახდა ერდოღანის პარტიის პოლიტიკური იდენტობის განუყოფელი ნაწილი, ანკარას არ მისცა საშუალება მოსკოვთან კრიზისის დროს სწრაფად გადასულიყო დასავლეთთან თანამშრომლობაზე და გააცნობიერებინა თავისი პოტენციალი.

ზოგადად, 2010 წ. ანკარას საგარეო პოლიტიკა ნაკლებად დამოკიდებული გახდა „აშშ-ისა და ევროკავშირის ფაქტორზე“, რამაც თურქეთს საშუალება მისცა გაეტარებინა უფრო ავტონომიური საგარეო პოლიტიკა, რომელიც წარმატებული კონსოლიდაციის შემდეგ, უფრო მეტად ასახავდა პარტიის ისლამისტურ პოლიტიკურ იდენტობას. ამ პერიოდიდან, ევროკავშირში განწევრიანების სურვილი აღარ არის თურქეთის მამოძრავებელი ძალა და დასავლეთთან მოკავშირე ურთიერთობები შეიცვალა ახალი სიტუაციური ალიანსებით ყატართან და მუსლიმურ სამყაროსთან.

მას შემდეგ რაც თურქეთის პოლიტიკურმა ელიტამ რ. ერდოღანის სახით პრეტენზია განაცხადა რეგიონში ჰეგემონობაზე და გამოხატა მზადყოფნა, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე წარმოდგენილი იყოს არა როგორც დასავლეთის ინტერესების გამტარებელი სახელმწიფო, არამედ როგორც დამოუკიდებელი აქტორი, მისი ურთიერთობა აშშ-სთან საგრძნობლად დამძიმდა. თურქეთის ეს სწრაფვა გამოვლინდა ჯერ კიდევ 2003 წელს, როდესაც მან უარი განაცხადა ნატოელ მოკავშირეებს ერთად მონაწილეობა მიეღო ერაყის ომში სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ. ამ გადაწყვეტილების ოფიციალურ მიზეზად კი დასახელდა რელიგიური ფაქტორი - მუსლიმური სახელმწიფო ვერ არ ებრძვის მუსლიმურ ქვეყანას! თუმცა ამ ქმედების ერთ-ერთი რეალური მოტივი იყო თურქეთის სურვილი გაეტარებინა დაბალანსებული პოლიტიკა და იმის წარმოჩენა რომ ის არ არის უბრალო მარიონეტი დასავლეთის ხელში. ხელისუფლებაში ერდოღანის მოსვლის შემდეგ ეს ფაქტი იყო პირველი დასავლეთსა და აშშ-ს ურთიერ-

ობებში გაჩენილი პირველი „შავი ლაქა“.

მმართველი პარტიის მიერ ხელისუფლების კონსოლიდაციის ხარისხის ზრდასთან ერთად პირდაპირპროპორციულად იზრდებოდა ერდოღანის და მისი გარემოცვის ავტორიტარული მიდრეკილებების გამოვლენის ფაქტები, დასავლეთის მიმართ ასევე ამ პროცესის პარალელურად მკაცრდებოდა რიტორიკა, რამაც განსაკუთრებით მწვავე სახე მიიღო 2016 წლის 15 ივლისის მოვლენების შემდეგ.

ერდოღანის უკიდურესად გაზრდილ ამბიციებსა და არაპროგნოზირებადობაზე მეტყველებს მის მიერ გაკეთებული განცხადება, სადაც არ ერიდება თურქეთის ჰეგემონისტური მისწრაფებების აფიშირებას. კერძოდ, მან განაცხადა, რომ ემხრობოდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებების გადახედვას რომლებშიც დადგენილია თურქეთის დღევანდელი საზღვრები. ერდოღანმა პრეტენზია განაცხადა მოსულის, ქირკუკის და ჩრდილოეთ ერაყის ზოგიერთ იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს ერაყის ქურთისტანის შემადგენლობაშია, ასევე საბერძნეთის კუთვნილ დოდეკანესის კუნძულებსა და თურქულ-სირიული სასაზღვრო ზოლის კონკრეტულ მონაკვეთზე. ერდოღანის ეს განცხადება ადასტურებს თურქეთის არა მხოლოდ დაუმოკებელ და თანამედროვე საერთაშორისო სისტემის პირობებში არაადეკვატურ სწრაფვას ერთპიროვნული რეგიონული ჰეგემონობისკენ, არამედ საერთაშორისო სამართლის პრინციპების უგულვებელყოფით ნეო-ოტომანური იდეოლოგიის პრაქტიკაში განხორციელებისთვის მზადყოფნას, რაც მისთვის ხელსაყრელ დროს, მისივე არაპროგნოზირებადობიდან გამომდინარე, შესაძლოა განცხადებიდან ქმედებად იქცეს. ერდოღანის მსგავსი რიტორიკა, ბუნებრივად ინვესს აშშ-ს შეშფოთებას, ემუქრება მის ინტერესებს რეგიონში და პერსპექტივაში თავად რეგიონს--კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაციით.

გარდა ამისა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დაძაბვის ზემოხსენებული ფუნდამენტური მიზეზისა, კერძოდ, თურქეთის პოლიტიკური ელიტის სწრაფვისა თურქეთის რეგიონული ჰეგემონობისკენ და ამით აშშ-ს ინტერესების დამუქრებისა, არსებობს ასევე მათი ურთიერთობების გაუარესების რამდენიმე დამატებითი ფაქტორიც, კერძოდ: სირიის ომში მათი ინტერესების დაპირისპირება: აღნიშნულ კონფლიქტში აშშ-ს მთავარი ინტერესი მდგომარეობს ისლამური სახელმწიფოს საბოლოო დამარცხებაში, რისთვის ის მხარს უჭერს ქურთულ შეიარაღებულ ფორმირებებს, რომლებიც ეფექტურად იბრძოდნენ ტერორისტების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთისთვის ისლამური სახელმწიფო ასევე უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს, მისთვის მთავარი პრიორიტეტი მაინც ქურთ სეპარატისტებთან ბრძოლა და მის საზღვართან ქურთული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ან ავტონომიის ჩამოყალიბების ნებისმიერ ფასად არ-დაშვებაა იყო. იგი ებრძვის აშშ-ს მიერ მხარდაჭერილ ქურთულ

დაჯგუფებებს ქურთულ სამხედრო შენაერთებთან ბრძოლის პარალელურად იგი ფინანსურად და ლოჯისტიკურად ეხმარება ჯიჰადისტურ დაჯგუფებებს. ეს ფაქტორი, თავისთავად, კიდევ უფრო ძაბავდა ორი ქვეყნის ურთიერთობებს. სირიის კრიზისში ორი ქვეყნის ინტერესების დაპირისპირების ერთ-ერთი სიმპტომი იყო 2018 წლის დასაწყისში ჩრდილოეთ სირიის ქალაქ აფრინში თურქეთის მიერ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ჩატარებული სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია: თურქეთის მიერ ოპერაციის დაწყების რეალურ მიზეზად მიიჩნევა აშშ-ს მხარდაჭერას. თურქეთის მოსაზღვრე რეგიონებში 30 000-იანი ქურთული შენაერთის შექმნის დაანონსება, რომელიც გააკონტროლებდა სირიისა და თურქეთის საზღვარს და მიმდებარე რაიონებს. ამ შენაერთის შექმნის მთავარი დანიშნულება იყო თურქეთის მიმართულებით ISIS-ს თუ სხვა დაჯგუფების ტერორისტებისთვის, სირიიდან გასასვლელის ჩაკეტვა. პრეზიდენტმა ერდოლანმა ოპერაციის დაწყებამდე აღნიშნულ შენაერთს აშშ-ს მიერ მხარდაჭერილი „ტერორისტების არმია“ უწოდა და სრულ დაკომპლექტებამდე მისი განადგურების პირობა დადო. ოფიციალური ანკარის პოზიციით, ამ შენაერთის თურქეთის საზღვართან განლაგება გამოიწვევდა თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედ ქურთ სეპარატისტთა მოძრაობის გაძლიერებას და შესაბამისად, საფრთხეს შეუქმნიდა თურქეთის უსაფრთხოებას. ოპერაციის მსვლელობისას თურქეთის ავიაციამ სხვა ობიექტებთან ერთად დაბომბა აეროდრომი, რომლითაც აშშ ქურთებს იარაღით ამარაგებდა. სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა პრეზიდენტ ერდოლანის განცხადებამ იმასთან დაკავშირებით, რომ თურქეთის არმია მხოლოდ აფრინის ალებას არ დაჯერდებოდა და ტერორისტების დევნას იმ ტერიტორიებამდეც გააგრძელებდა, სადაც უშუალოდ აშშ-ს შეიარაღებული ძალები იყვნენ დისლოცირებულნი. ამგვარად, აფრინის ოპერაციამ კიდევ უფრო დაძაბა ორი ქვეყნის ურთიერთობები. აღსანიშნავია, რომ ერდოლანმა ეს ოპერაცია შიდა პოლიტიკური პრობლემების გადასაფარად და ახალი ანტი-ამერიკული პროპაგანდის კიდევ ერთი ტალღის აგორებისთვის გამოიყენა.

ორი ქვეყნის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2013 წელს მომხდარი სკანდალი თურქეთის ირანთან ოქროთი უკანონო ვაჭრობის შესახებ. გაირკვა, რომ თურქული ბანკები და ერდოლანის უახლოესი გარემოცვა ირანთან უკანონო ბიზნეს საქმიანობას აწარმოებდა აშშ-ს მიერ ირანისათვის დაწესებული სანქციების რეჟიმის გვერდის ავლით. ამ მორიგმა პოლიტიკურმა სკანდალმა ასევე შეუწყო ხელი ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუარესებას. სწორედ ეს შემთხვევა გახდა მანამდე კულუარულად მიმდინარე მათი დაპირისპირების გასაჯაროების მიზეზი.

ასევე დიდი ზიანი მიაყენა ორი ქვეყნის ურთიერთ-

ობებს 2016 წლის ივლისში სამხედრო გადატრიალების მცდელობამ. ზოგიერთი მოსაზრებით იგი აშშ-ს მიერ იყო ინსპირირებული მათთვის არასასურველი ლიდერის-ერდოლანის დამხობის მიზნით. ერდოლანის მიერ ანტი-ამერიკული რიტორიკის ახალი ძალით დაწყების საბაბი გახდა ასევე აშშ-ში ემიგრირებული მისი ყოფილი თანამებრძოლის და მისი ნომერ პირველი პოლიტიკური მეტოქის--ფ.გოულენის ექსტრადირებაზე აშშ-ს უარი.

თურქეთს და აშშ-ს შორის ურთიერთობების დაძაბვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ასევე გადატრიალების მცდელობის შემდეგ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები საგრძნობლად გაუმჯობესება. სავარაუდოდ, ამას ხელი შეუწყო ერდოლანისთვის გადატრიალების მცდელობის აღკვეთაში რუსული დაზვერვის მიერ მიწოდებულმა დროულმა ინფორმაციამ¹. შემდგომი ორი წლის განმავლობაში მოხდა მათი კიდევ უფრო დაახლოება: თურქეთმა დადო რუსეთთან გარიგება რუსული S-400 ტიპის სარაკეტო სისტემის შესყიდვის თაობაზე, რასაც მოჰყვა ნატოს სარდლობის მხრიდან განცხადება, რომ გარიგების სისრულეში მოყვანისთანავე თურქეთს შეეზღუდება ალიანსის წევრი ქვეყნების საჰაერო თავდაცვით სისტემებთან წვდომა და შესაძლოა აშშმ აღარ მიყიდოს თურქეთს შეთანხმებული F-35 ტიპის რეაქტიული თვითმფრინავები.

გარდა ამისა, მოსკოვი აპირებს თურქეთში 20 მლრდ ლირებულების პროექტის განხორციელებას--ატომური ენერჯის პირველი სადგურის აშენებას, რაც სავარაუდოდ მოწმობს იმას, რომ რუსეთს და თურქეთს საკმაოდ გრძელვადიანი პარტნიორობის გეგმები აქვთ. ამასთან, ბოლო პერიოდში ასტანაში გამართულ სირიის სამშვიდობო სამიტზე გამოიკვეთა რუსეთის, თურქეთის და ირანის დაახლოების პერსპექტივები, რაც განსაკუთრებით შემამოფოთებელია აშშ-თვის იმის გათვალისწინებით, რომ თუ მან ვერ მოახერხა ამ სახელმწიფოების პარტნიორობის თავიდან აცილება, ეს გახდება რეგიონში მისი ინტერესებისთვის უდიდესი გამოწვევა. დღეისათვის აშშ-თურქეთის ურთიერთობების მთავარი „ძაბვის ხაზი“ სწორედ თურქეთის ირანთან და განსაკუთრებით რუსეთთან შესაძლო პარტნიორობაზე გადის. ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა ინჯირლიკის ბაზის შესაძლო დახურვის საკითხიც, რაზეც ორი ქვეყნის ურთიერთობებში ყოველი მორიგი კრიზისისას მიანიშნებს ან პირდაპირ იმუქრება ანკარა. აღსანიშნავია, რომ თურქეთის არაადეკვატური ქცევის გამო ინჯირლიკის ბაზა უკვე დატოვა გერმანიულმა არმიის ნაწილებმა და გადავიდა იორდანიამში არსებულ ნატოს სხვა სამხედრო ბაზაზე. რაც შეეხება აშშ-ს, თავდაცვის დეპარტამენტში ჯერ კიდევ 2017 წლის ბიუჯეტში იყო გათვალისწინებული ინჯირლიკის ბაზის იორდანიამში შესაძლო გადატანისთვის ფინანსური ხარჯები. სავარაუდოა, რომ არასაჯარო დონეზე ას-

1 არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა 8 სათით ადრე შეატყობინეს ერდოლანს გადატრიალების და მისი სასახლის დაბომბვის შესახებ. გადაუმოწმებელი ინფორმაციით ერდოლანი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ყირიმში დამალეს რუსეთის სპეცსამსახურებმა.

ევე გათვლილი იქნება ამ ქმედების სტრატეგიული და პოლიტიკური ღირებულება, თუმცა ფაქტია, რომ ბაზის დახურვაზე ანკარის მუდმივი სპეკულაციების მიუხედავად, აშშ ჯერჯერობით არ ჩქარობს ამ უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ბაზიდან საკუთარი საჯარისო ნაწილების გაყვანას.

მაშასადამე, თურქეთის საგარეო პოლიტიკაში საგრძობლად დიდი ცვლილებები დაიწყო პრეზიდენტ ერდოღანის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, კერძოდ, 2016 წელს სამხედრო რეფორმების გატარების შემდეგ. ცვლილებების შედეგად უფრო მეტი ყურადღება დაეთმო ეროვნულ უსაფრთხოებას, პოლიტიკაშიც დამკვიდრდა მტკიცე სტილი და უპირატესობა მიენიჭა გაცვლით ურთიერთობებზე დაფუძნებულ კავშირებს.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის დასახასიათებლად ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ეპითეტები. მათგან ყველაზე ფართოდ გავრცელებულია „პროაქტიურობის“ ცნება. თუმცა, ასეთი მიდგომების ახსნა-განმარტების პოტენციალი შეზღუდული აღმოჩნდა. ჯერ ერთი, ლიბერალური მოლოდინები არ გამართლდა: თურქეთმა ვერ ააშენა რეგიონალური ურთიერთდაჯერებულობისა და ინტერესთა შეერთების პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო, რადგან შეუძლებელი იყო წინსვლა ისეთი მწვავე საგარეო პოლიტიკური კონფლიქტების პირობებში. მეორეც, უკვე 2010-იან წლებში გამოიკვეთა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ინტერპრეტაციის კონსტრუქტივისტული მიდგომები, რომლებიც ხაზს უსვამენ ისლამისტურ პოლიტიკურ იდენტობას, რაც, ასევე ვერ იქცა უნივერსალურ ანალიტიკურ ინსტრუმენტად. ახლო აღმოსავლეთში თურქეთის აქტიური მონაწილეობის ზრდის ახსნა სცადეს „ნეოსმანიზმისა“ და „პანისლამიზმის“ გამოვლინებით. ეს პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ რ. ერდოღანის პარტიის ხელისუფლებაში მოსვლამდე. ხოლო შემდგომ, ერდოღანმა გააგრძელა. ამრიგად, არსებული სამეცნიერო ლიტერატურა დიდწილად იძლევა გასაღებს თურქეთის საგარეო პოლიტიკის დინამიკის, მისი შაბლონებისა და ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორების გასაგებად. გასათვალისწინებელია არა მარტო საშინაო პოლიტიკური ფაქტორები, არამედ ცვლილებები გარე კონიუნქტურაშიც, ხშირად მხედველობიდან რჩებათ შემდეგი მნიშვნელოვანი პუნქტი: თურქეთი, როგორც „ძალა“ ხშირად შებოჭილი იყო თავის ქმედებებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია ცივი ომის დასრულებიდან სამი ათწლეულის განმავლობაში მოითხოვს კოორდინატების ალტერნატიულ სისტემას, რომელიც არ გახდება ერთფაქტორიანი მიდგომის მსხვერპლი, მაგრამ მხედველობაში მიიღება

კომპლექსურად. გარეგანი შეუსაბამობა და შიდა პოლიტიკური დინამიკა, ასევე თურქეთის საერთაშორისო პოლიტიკური პოტენციალი აუცილებლად უნდა ოყოს ანალიზის პროცესში გათვალისწინებული. საკითხის გააზრებისათვის მნიშვნელოვანია სამი განზომილების გათვალისწინება: საშინაო პოლიტიკის დინამიკა, საერთაშორისო კონტექსტი და იდეოლოგიური და ინსტიტუციური მხარდაჭერის ტრანსფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Гаджиев, А.Г. Турция – ЕС: проблемы и перспективы развития отношений (1963–2019 гг.). М.: ИВ РАН, 2020;
2. Дружиловский, С.Б., Аватков, В.А. Внешнепо-литические идеологемы Турции (2002–2012 гг.) // Научно-аналитический журнал Обозреватель– 2013. – No 6 (281);
3. Надеин-Раевский, В.А. Внешняя политика Турции: ветры перемен // Мировая экономика и международные отношения. – 2013. – No ;
4. Хавамдех Мазен Хуссиен Фалах. Внешняя политика Турции на Ближнем Востоке в период “Арабской весны” 2010-2019 гг. : специальность 23.00.04 “Политические проблемы международных отношений, глобального и регионального развития” : диссертация на соискание ученой степени кандидата политических наук. (<https://repository.rudn.ru/ru/records/dissertation/record/75499/>);
5. Balkır, Canan, and Sedef Eylemer. “Shifting Logics: The Discourses of Turkish Political Elites on EU Accession.” South European Society and Politics 21, no. 1. (2016): 29–43. <https://doi.org/10.1080/13608746.2016>;
6. Turkey’s foreign policy and its consequences for the EU, Ilke TOYGÜR, Funda TEKIN, Eduard SOLER i LECHA, Nicholas DANFORTH, Feb, 2022 chrome-extension://efaidnbmnnnibpajpcglclefindmkaj/[https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2022/653662/EXPO_IDA\(2022\)653662_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2022/653662/EXPO_IDA(2022)653662_EN.pdf);
7. Turkish foreign policy under Erdogan: A change in international orientation?, pages 206-223 Lars Haugom, 17 Jun 2019 <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/01495933.2019.1606662?journalCode=ucst20>;
8. “The Foreign Policy of the ‘New Turkey’: Priorities, Challenges and Contradictions”, March 2019, new middle eastern studies https://www.researchgate.net/publication/33-1559363_The_Foreign_Policy_of_the_'New_Turkey'_Priorities_Challenges_and_Contradictions;
9. Turkish foreign policy in a post-western order: strategic autonomy or new forms of dependence? Mustafa Kutlay, Ziya Öniş International Affairs, July 2021, Pages 1085–1104.